

F4889

3

04035324
2016三月035

3525 (47.92 ლ. 19.)

გამგეობის მოხსენა

წყლის სარიცვის გადიდების შესახებ.

ქალაქის გამგეობა წარმოებათა შემოსავალის გადიდების დროს წყალსადენის ყოველთვის განსაკუთრებული ოვალსაზრისით უყურებდა. მას გათვალისწინებული ჰქონდა ის პირველხარისხისონი მნიშვნელობა, რომელიც წყალს აქვს საზოგადოთ ქალაქის სანიტარულ მდგომარეობის გაუმჯობესობის საქმეში და კერძოთ მოქალაქის ყოველდღიურ ცხოვრებაში. ამიტომ გამგეობა, მიუხედავათ მოსალონდენ დეფიციტისა, წყლის ტარიფს აღიდებდა ისე, რომ ცოტა დეფიციტით შესაძლებელი ყოფილიყო წყალსადენის ხარჯებს დაფარვა, ოლონდ წყალი იაფად მიეწოდებია მოქალაქეთათვის. მიუხედავათ გამგეობის მიერ მიღებულ ზომების და ხსენებულ თვალსაზრისისა მიღებული პირობები აიძულებს მას სურვილის წინააღმდეგ წყლის ტარიფის გადიდებაზე იფიქროს. დღითი-დღე წყალსადენის-თვის საპირო გასათბობი მასალა და სხვა საექსპლოატაციო ხარჯები იჩრდება და მის დაცემის კი არა, ცოტა ხნით მაინც ერთ დონეზე შეჩერებაც არ არის მოსალონდენი ახლო მომავლში. ამიტომ ქალაქის გამგეობამ განაზრია წყლის ტარიფის კვლავ გადიდება.

უკანასკნელად წყლის ტარიფი იქნა გადიდებული 1920 წლის 1 მარტიდან (ერთი შაურის მავიერ ვედრო წყალი გახდა ორი შაური) მ. წ. მარტში საჭბოსადმი წარდგენილ მოხსენებაში ჩვენ აღვნიშვნთ ყველა ის ზომები, რომელიც იქნა გამგეობის მიერ მიღებული წყალსადენის ხარჯების შესატორებლად, ეს ზომები დღესაც ხორციელდება, ამიტომ მასზე განმეორებით აღარ ვილაბარაკებთ, ვიტუვით მხოლოდ რომ მიღეულ ზომების წყალობით დღევანდელ ფასებში ეკინომია გამოიხატა:

$$(207.320 \text{ ლ} + 40.150 \text{ ლ}) \times 125 = 30,973.750 \text{ მან.}$$

წყალსადენის ხარჯი 1920 წელში ნავარუდევი იყო:

1. მაზუთის ხარჯი:	237.250 ლ.	× 40.5 მ.	= 9,608.625 მან.
2. ზაბის	.	.	3.000.000 "
3. საექსპლოატაციო	.	.	10.744.620 "
4. პირადი შემადგენლობის.	.	.	5.973.295 "

სულ . 29.326.540

1920 წლის შემოსავალი კი ნავარუდევი იყო: 28.656.325 მ. საჭარი ზარალი დღი ნავარუდევი . 67.21 მ. საჭარი ზარალი დღი ნავარუდევი .

— 2 —

ამრიგად 1920 წელში წყალსადენის ბალანსი მცირე ზარალით იყო
ნავარაუდევი, რომლის დაფარვასაც გამგეობა, ოლონდ წყლის ტარიფის კი
გადიდებისაგან თავი დაეხტია, სხვა წყაროებიდან ფიქრობდა.

ამის გარდა გამგეობას იმდენ ჰქონდა, რომ საზღვარგარედან შეკვე-
თილ ტუმბოს (ნასოსს) მიღებდა, რომლის შემცირებითაც დღევანდელ
ფასებში კუიქრობდით კეონომიას (550 ფ.—135 ფ \times 365 დღ. = 151.500
ფ. \times 125) = 18.937.500 გ. მიუხედავათ იმისა რომ თვით მთავრობა გვე-
მარებოდა, ტუმბოს მიღება საზღვარგარედან დღემდე შეუძლებელი შეიქნა.

მ. ჭ. 15 აპრილიდან მაზუთის ფასმაც ერთი სამაც აიწია: 40,5 გ.
მაგიერ ერთი ფუთი მაზუთი ტრანკო-ავჭალა დღეს 125 მანეთი ლირს.
ამ ორ თვენახევარში გამგეობა, მიუხედავად ხარჯების ამრიგად ზრდისა
მანც არ ადიდებდა წყლის ტარიფს იმ იმდინი, რომ დღეს თუ არა ხვალ
მაზუთის ფასი დაიწევდა, მაგრამ სამწუხაროთ ჩვენი იმედები ჯერ-ჯერო-
ბით არ გამართლდა. ყოველ-დღიური ზარალი კი იმდენად დიდია, რომ
იძულებული ვართ ეს საკითხი პირველ რიგში დავაუწიოთ.

15 აპრილიდან წლის ბოლომდე ზარალი იქნება (260 დღ. \times 650 ფ. \times
 \times 125 გ.—40,5 გ.) = 14.280.500 გ. სხვა ხარჯებთან ერთად საექსპლოატა-
ციონ ხარჯებმაც იმატეს 100% -ით. აქედან ექვსი თვის განმავლობაში
ზარალი გამოიხატება:

$$10.744.620 \times 6 = 5.372.310 \text{ გ.}$$

12

ამრიგად წყალსადენის მთელი ზარალი იქნება:

$$14.280.500 \text{ გ.} + 5.372.310 \text{ გ.} = 19.652.810 \text{ გ.}$$

ასეთ დიდ ზარალის დაფარვას სხვა წყაროებიდან გამგეობა ვერ
შესძალებს, ამიტომ მას დარჩენია ერთად ერთი გზა—წყლის ტარიფის
გადიდება.

1919 წლის ნავარაუდევი წყლის რაოდენობა რომ ავილოთ, ტარი-
ფის გადიდებით შემდეგი ზედმეტი შემოსავალი იქნება:

$$288.177.000 \times 6$$

12

$$\times 10 = 14.408.850 \text{ გ.}$$

ამრიგად ვერც ახალი ტარიფით იფარება წყალსადენის მთელი ზა-
რალი. იგი გამოიხატება 19.652.810 გ.—14.280.500 გ. = 5.243.950 გ.
კინაღან წყლის ტარიფის 100% -ზე მეტით გადიდება დღევანდელ პირობებ-
ში გამგეობას შეუძლებლად მიაჩნია, ზარალის დაფარვას იგი ფიქრობს
სხვა წყაროებიდან.

ახალი წყლის ტარიფი, გამგეობის აზრით, მოქალაქეთ მძიმე ტვირ-
თად არ დაწევბა, კინაღან მცხოვრებთა უღარიბეს ნაწილს განაპირა
უბნებში დადგმულ 45 ლიკანიდან უფასოთ ეძლევად წყლი, დანარჩენ
მცხოვრებთათვის კი მათ სხვა ხარჯებთან შედარებით წყლის ხარჯები
მცირე % შეადგენ:

ომამდის როცა მუშას დღეში ერთი მანეთი ჰქონდა ხელფასი თავის

ოჯახით წყალზედ ჯამაგირის 1% ხარჯავდა (წყალი ფასობდა 1 ვედ. —  კასპიური სამართლის მინისტრის მიერ 1920 წლის 1 მარტის ბრძანების 1/5 კავ.) ახალი ტარიფის შემდეგ კი — $0,8\%$ (დღეში 120 გ. წყლის ხარჯი შედგინა $5 \times 1 გ. \times 20 = 1$ ბან., ანუ $\frac{1}{120} = 0,8\%$) აქედან ცხადია; რომ მუშისაოვის წყალი დღეს უფრო იაფია, ვიდრე რომამდის იყო.

კველა ამ მოსაზრებით ქალაქის გამგეობა აუცილებელ საჭიროებად სთვლის წყლის ტარიფის გადიდებას მიმდინარე წლის 1 მეტაოვიდან $100\%-ით$, ე. ი. ერთი ვედრო წყალი ელირება 20 კავ.

გამგეობა უდგენს რა საბჭოს ზემოხსნებულ თავის მოსაზრებას, სთხოვს მის დადასტურებას.

ქალაქის მოურავი ბ. ჩხიკვიშვილი

მოურავის ამხანავი გ. კონიაშვილი

გამგეობის წევრნი მდივანი ა. შენგელია	ი. ბესელიძე კ. ფანიევი მ. მაჭავარიანი გ. შოთაძე ფ. პაპავა
---	---



